სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

29 ნოემბერი 2024 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 179

სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევით საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 16 ივნისის N 74/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის „ე" ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 3 სექტემბრის N131 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის (N1534345, 29.11.2024) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2024 წლის 6 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი

ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო/სახაზინო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2024 წლის 27 დეკემბრისა.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი

დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

2024 წლის -29- ნოემბრის N-179- ბრძანებით

2024 წლის „სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსის“

გამარჯვებული პროექტები

№	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	თანამონაწილე ორგანიზაცია
1	SL-24-157	თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები - კომპოზიცია	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	
2	SL-24-599	პოლიმერებისა და ანალიზური ქიმიის ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ტერმინოლოგიური განმარტებითი ონლაინლექსიკონი	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ქიმიისა და მოლეკულური ინჟინერიის ინსტიტუტი	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
3	SL-24-218	აფხაზური ენის ელექტრონული სწავლების კურსი - A1 დონე	ააიპ ენაგრამა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4	SL-24-089	სამოქალაქო დანიშნულების აეროპორტების მართვის, ექსპლუატაციისა და სანავიგაციო უზრუნველყოფის ქართულ-ინგლისური ილუსტრირებული ლექსიკონი	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	